პიროვნული ნიშნების კავშირი ფანატიზმთან

ქეთევან კუკავა

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციალური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სოციალური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ირინა ვარდანაშვილი, დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებული, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების თანახმად.

ქეთევან კუკავა

2021 წელი

აბსტრაქტი

რელიგიური ფანატიზმი საკმაოდ დიდ პრობლემას წარმოადგენს, როგორც მსოფლიოში ასევე საქართველოში. მის მიმართ საზოგადოების ინტერესი განსაკუთრებით 21 საუკუნის დასაწყისში გაძლიერდა. ეს ინტერესი ტერორისტული თავდასხმების სერიას მოჰყვა და თემა აქტუალურობას დღემდე არ კარგავს. მრავალი მკვლევარი, როგორც ფსიქოლოგიაში ასევე მომიჯნავე მეცნიერებებში ცდილობს იპოვოს ფანატიზმის გამომწვევი მიზეზი და ახსნას მისი მუშაობის მექანიზმი. ბოლო პერიოდში მკვლევარებმა ფანატიზმისა და ფუნდამენტალიზმის შესწავლა დიდი ხუთიანის პიროვნულ ნიშნებთან მიმართებაში დაიწყეს. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს გარკვეული წინსვლა ამ მხრივ, ჯერ-ჯერობით მაინც არ არსებობს საკმარისი ინფორმაცია მათი კავშირის შესახებ. წინამდებარე კვლევაში, რომელშიც მონაწილეობა 485 - მა ცდის პირმა მიიღო, არ გამოვლინდა კავშირი ფანატიზმსა და დიდი ხუთიანის პიროვნულ ნიშნებს შორის. თუმცა კვლევაში გამოვლინდა ძლიერი კავშირი დემოგრაფიულ მონაცემებს, რელიგიურობასა და პიროვნების ფანატიზმის დონეს შორის. კვლევამ ჩვენა, რომ ადამიანის სქესი, განათლების დონე და რელიგიურობა ფანატიზმის პრედიქტორებია.

Abstract

Religious fanaticism is a major problem in the world, as well as in Georgia. Public interest in fanaticism dramatically increased at the beginning of the 21st century. This interest was followed by a series of terrorist attacks and the topic has not lost its relevance to this day. Many researchers in both psychology and related fields are trying to find the cause of fanaticism and explain the mechanism of its work. Recently, researchers have begun to study fanaticism and fundamentalism in relation to the personality traits of the Big Five. Although there is some progress in this regard, there is still not enough information about their connection. The present study, in which 485 participants took part in, found no statistically significant association between fanaticism and the Big Five personality traits. However, the study found a strong link between demographic data, religiosity, and levels of fanaticism. Our research shows that gender, education level and religiosity are predictors of fanaticism.

მადლობა

განსაკუთრებული მადლობა მინდა ვუთხრა ჩემს ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორს ირინა ვარდანაშვილს. მისი ჩართულობისა და რჩევების გარეშე ძალიან გამიჭირდებოდა წინამდებარე კვლევის ჩატარება.